ბრძანება №1-21

გორი

08 04 2024წ.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის (N396886, 04.04.2024) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (N402915, 05.04.2024) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.
3. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი ალექსანდრე მღებრიშვილი

<u>დანართი</u>

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს;
2. კონფერენციას ორგანიზებას და სათანადო დონეზე ჩატარებას უხელმძღვანელებს სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
3. კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერებსა და დარგის სპეციალისტებს, აგრეთვე დოქტორანტებს;
4. კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები უნდა ეხებოდეს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საკითხებს;
5. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2024 წლის 03 მაისის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე otar_janelidze@yahoo.com უნდა წარმოადგინონ:

ა) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1 / დანართი 2-ის შესაბამისად;

ბ) სამეცნიერო ნაშრომი.

6. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით: ფორმატი A4; ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; ქართულენოვანი ნაშრომისათვის სავალდებულოა LitNusx შრიფტის, ხოლო უცხოურენოვანი ნაშრომისათვის Times New Roman შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; ნაშრომს თან უნდა ახლდეს რეზიუმე ინგლისურ ენაზე (რეზიუმე არაუმეტეს 300 სიტყვისა). ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არაუმეტეს 15 გვერდისა. ტექსტში გამოყენებული წყარო ან ლიტერატურა უნდა მიეთითოს იმავე გვერდზე სქოლიოს სახით, ხოლო ნაშრომის ბოლოს, ანბანური თანმიმდევრობით უნდა დაერთოს ბიბლიოგრაფია;
7. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:
   1. ალექსანდრე მღებრიშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე;
   2. გიორგი სოსიაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   3. დავით კვერნაძე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასისტენტი, კომიტეტის წევრი;
   4. ელდარ მამისთვალიშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   5. ქეთევან ბარბაქაძე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   6. ანა იმნაძე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   7. ლევან მიდოდაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;
8. კონფერენციის პროგრამული კომიტეტი წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობით:
   1. ელდარ მამისთვალიშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის თავმჯდომარე;
   2. გიორგი სოსიაშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   3. ოთარ ჯანელიძე - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   4. დავით ყოლბაია - ვარშავის უნივერსიტეტის (პოლონეთი) პროფესორი, კომიტეტის წევრი;
   5. მუსა ქასიმლი - აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კავკასიის კვლევის ინსტიტუტი, პროფესორი, კომიტეტის წევრი;

6. როინ ყავრელიშვილილი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კომიტეტის წევრი;
7. დავით ჩოჩიშვილი - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კომიტეტის წევრი;
8. პაატა სურგულაძე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მრჩეველი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, კომიტეტის წევრი.

9. თითოეული ნაშრომი შეფასდება პროგრამული კომიტეტის მიერ და მოწონებული ნაშრომების ავტორები მოწვეულნი იქნებიან კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.
10. კონფერენციაზე წარმოდგენილი მასალები გამოიცემა შრომათა კრებულის სახით.
11. კონფერენცია ჩატარდება 2024 წლის 23 მაისს.

სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის - ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

23 მაისი, 2024

აპლიკაციის ფორმა

ავტორის გვარი, სახელი:
თანაავტორის / თანაავტორების გვარი, სახელი:
ქვეყანა:
მისამართი:
ტელეფონის ნომერი: მობილური: სახლი:
ფაქსი:
ელ-ფოსტის მისამართი:
დაწესებულების დასახელება:
თანამდებობა:
ნაშრომის სათაური:
ნაშრომის სათაური ინგლისურად:

დანართი 2

LEPL– **GORI STATE UNIVERSITY**

Faculty of Humanities

International Scientific Conference Dedicated to the 70th Anniversary of Otar Janelidze, Professor of Gori State University

23 May, 2024

Application Form

Surname, Name of the author:
Surname, Name of the coauthor/ coauthors:
Country:
Address:
Phone number: Mobile: Home:
Fax:
Email address:
Institution Name:
Position:
Title of the article: